პროლეტარებო ყველა ქვეყნისა შეერთდით

პარასკევი, 16 მაისი 1924 წ. — წელიწადი მეოთხე — ფასი 5 კაპ. ჩერ.

# წითელი ხომალდი

№ 499 ქ. მ. ღ. პოლიტ-განყოფილების ყოველდღ. გაზეთი

რედაქც. მის. ტფ., ჯორჯიაშვილის ქუჩა № 8. საველე ელ. 85.
განცხადების ფასი პირველ გვერდზე 40 კაპ.—მეოთხეზე 20 კაპ. ჩერვო ნეც' ნომპარელის სტრიქონი
სამგლოვიარო განცხადება 3 მან. ჩერვ. განცხადებები მორიგ ნომერში მიიღება მხოლო 1 საათამდე

## წითელი ფლოტის ექვსი წლის თავი.

გუშინ, 15 მაისს შესრულდა ექვსი წელი წითელი საზღვაო—სამხედრო ფლოტის არსებობის დღიდან.

ამ დღეს გამოიცა პირველი ბრძანება ბალტიის სამხედრო ფლოტის ორგანიზაციის შესახებ.

როგორც ყველაფერი, საზღვაო ფლოტიც საბჭოთა მთავრობას განადგურებული და აოხრებული დარჩა.

მეზღვაურები რუსეთში ყოველთვის დიდ რევოლიუციონურ როლს თამაშობდენ. ბალტიის და შავი ზღვის ფლოტის შემადგენლობის უმეტესი ნაწილი რევოლიუციონური იყო. დიდი სამსახური გაუწია განსაკუთრებით ბალტიის ზღვის ფლოტმა რუსეთის პროლეტარულ რევოლიუციას. კრონშტატის მეზღვაურები უძლიერესი იარაღი იყო ბოლშევიკურ პარტიის ჯერ ივლისის დღეებში. შემდეგ ოქტომბრის გადატრიალების დროს კრონშტატის მეზღვ ურებმა უდიდესი რევოლიუციონური საქმე გააკეთეს.

სამოქალაქო ომით გარშემორტყმულ საბჭოთა რუსეთს არ ქონდა საშუალება მოეხმარა სამხედრო საზღვაო ფლოტი—ზღვებიდან თითქმის მოწყვეტილი დარჩა საბჭოთა რუსეთი. რევოლიუციონური მეზღვაურები ხმელეთზე გადმოვიდენ და იქ გააგრძელეს თავისი მუშაობა. ფლოტი თითქმის უპატრონოთ დარჩა. ამით ისარგებლეს თეთრგვარდიელებმა და ხელთ იგდეს საზღვაო ფლოტი. მრავალი გემები მიყიდეს უცხოელ სახელმწიფოებს, მრავალი ჩაძირეს და ააფეთქეს.

საბჭოთა ხელისუფლებამ ძალიან კარგათ იცოდა, რომ როგორც მაშინდელ, სამოქალაქო ომის პირობებში, ისე შემდეგაც აუცილებელი იყო სამხედრო-საზღვაო ფლოტის შექმნა და გაძლიერება.

დღეს მით უფრო საჭიროა ჩვენთვის სამხედრო-საზღვაო ფლოტი. იმპერიალისტური სახელმწიფოების ფლოტი თარეშობს ზღვაზე. შავი ზღვის ნაპირებს მუდამ საშიშროება მოელის იმპერიალისტურ ინგლის-საფრანგეთის ფლოტისაგან. ბალტიის ზღვა გახსნილია სხვა სახელმწიფოებისათვის. ცხადია, რომ იმპერიალისტების ფლოტს ჩვენი მუშურ გლეხური საზღვაო ფლოტი უნდა დაუპირდაპიროთ. ჩვენ არ გვინდა საზღვაო ფლოტი სხვა ქვეყნების დასაპყრობათ. საბჭოთა ხელისუფლებას ჭირია საზღვაო ძლიერი ძალა საკუთარ ტერიტორიის დასაცავად მოძალადე იმპერიალისტების თავდასხმისაგან.

ექვსი წელი შენდება და იქმნება ახალი მუშურ-გლეხური წითელი სამხედრო—საზღვაო ფლოტი. დიდი შედეგებია მიღწეული ამ მხრივ. წითელი ფლოტი შეივსო ახალი ძალებით. ახალგაზრდათა კომ კავშირმა თავისი დაუღალავი მუშაობით შეავსო წითელი მეზღვაურების რიგები თავისი წევრებით. ეს მომავალი თაობა იბრძოლებს ზღვაზე მომავალ გადამწყვეტ ბრძოლებ სათვის.

პირველმა ექვსმა წელმა საფუძველი ჩაუყარა წითელ ფლოტს. ჩვენი თავდაცვის ერთ-ერთი ძლიერი იარაღი წითელი ფლოტი ექვსი წლის არსებობის თავს დღესასწაულობს, გაუმარჯოს მას!

# რადიო-დეპეშები

— პუანკარეს გადადგომა აუცილებელია, ახალი კაბინეთის შედგენა ერიოს მიენდობა.

— თემთა პალატაში ნდობის ვოტუმის გამოცხადების დროს მაკდონალდის მთავრობას მხარი დაუჭირა 317 დეპ. 252 წინააღმდეგ.

— იაპონიის კაბინეთი არჩევნებში დამარცხების გამო გადადგა, ახალ კაბინეთის შედგენა მიენდო ბარონ კატოს.

გავრცელებულია ხმები მილიერანის შესაძლებელ გადადგომის შესახებ.

— მაკდონალდმა განაცხადა, რომ საბჭოთა ინგლისის მოლაპარაკება განაყოფიერდაო.

— საფრანგეთის ახალი პალატის შეკრებისას კომუნისტი დეპუტატები ეპირებიან მოსთხოვონ მთავრობას ს. ს. რ. კ. დაუყონებლივი ცნობა.

— 7 მაისს ბულგარეთში გარდაიცვალა კომუნისტური პარტიის ბელადი ამხ. ბლაგოევი.

## საფრანგეთის არჩევნები.

**კომუნისტ დეპუტატების მოთხოვნილება.**

პარლამენტში არჩეული კომუნისტი დეპუტატები პარლამენტის გახსნისას წარადგენენ შემდეგ მოთხოვნილებებს ამნისტიის გამოცხადება, საბჭოთა კავშირის ცნობა და გადასახადებზე 20 პროც. მომატების შეცვლა. ეს მომატებული გადასახადი უნდა იქნეს გადატანილი იმ ქონებებზე, რომლებიც შეძენილ იქნა ომის დროს.

**მთავრობის თავმჯდ. იქნება ერიო.**

პარიზის პოლიტიკურ წრეებში იუწყებიან, რომ ახალ საფრანგეთის მთავრობის შედგენას მიანდობენ ერიოს.

**საბჭოთა მთავრობა იქნება ცნობილი.**

როსტას თანამშრომელთან საუბრის დროს სენატორ დე-მონზიმ განაცხადა; რომ ს.ს.ს.რ. და საფრანგეთს შორის დამოკიდებულების მოწესრიგების საკითხის სასურველად გადაჭრა აუცილებელია და სუყველაფერი იმაზე ლაპარაკობს, რომ საბჭოთა კავშირი იქნება ცნობილი. შესაძლებელია ორი კვირის შემდეგ დაიწყოს მოლაპარაკება.

**ყველაზე უფრო ადრე—ს. ს. ს. რ. ცნობა.**

ოფიციალური გაზეთი „ჩეხო სლოვენსკა რესპუბლიკა“ მიუთითებს ახალ საფრანგეთის მთავრობის მაკდონალდის მთავრობასთან დაახლოვების შესაძლებლობაზე. სარეპარაციო და ს. ს. ს, რ. ურთიერთშორის დამოკიდებულების საკითხებზე. ჩეხო-სლოვაკიის კომუნისტური და სოციალისტური გაზეთები აღფრთოვანებით აღნიშნავენ პუანკარეს დამარცხებას და უწინასწარმეტყველებენ საფრანგეთის საგარეო პოლიტიკის ახალ ხანას, რომელიც ყველაზე უფრო ადრე ეცდება საბჭოთა კავშირის იურიდიულად ცნობას.

**„გაქრება როგორც აჩრდილი“.**

„დეილი ნიუზ“-ი აღნიშნავს, რომ პუანკარიზმი, როგორც ევროპის პოლიტიკა გაქრება ღამის აჩრდილსავით.

**დასასვენებლად.**

„მატენი“ ამბობს. რომ პუანკარე ჰფიქრობს სრულიად ჩამოსცილდეს პოლიტიკურ ცხოვრებას. პუანკარეს აუარება წინადადებები მოსდის ამერიკის მთელ რიგ გაზეთებიდან გამოაქვეყნოს თავის მემუარები, მაგრამ ის უარზეა რადგან სურს აბსოლიოტურად დასვენება.

**მილიერანი-პუანკარეს გზით.**

საფრანგეთის რადიკალური პრესა განაგრძობს პრეზიდენტ მილიერანის რწმუნებას, რათა ისიც მიყვეს პუანკარეს მაგალითს და გადადგეს.

ლეობლიუმი „პოპულერში“ ამბობს: პუანკარემ ჩვენ გაგვიგო, ხოლო მილიერანი ისე იქცევა თითქოს არაფერი არ ესმის. საფრანგეთის პოლიტიკურ წრეებში ხმები დადის მილიერანის გადადგომის შესახებ.

**ერიო—მომავალი პრემიერი.**

„დეილი მეილის“ პარიზის კორესპონდენტის ცნობით პოლიტიკურ საქმესთან ახლო მდგომ წრეებში მომავალ პრემიერად ასახელებენ რადიკალ სოციალისტების ლიდერ ერიოს. იტყობინებიან, რომ პრეზიდენტ მილიერანმა უკვე მიანდო მას შეადგინოს ახალი კაბინეთი, როდესაც შეიკრიბება ახალი დეპუტატთა პალატა.

[illegible]

## ლიტვის ინკვიზიცია.

ასეთ სათაურით მოთავსებულია „პრავდას“ 103 №-ში ამხ. სამარინის წერილი, რომელიც აშუქებს ლიტვის საშინაო მდგომარეობას და მის ურთიერთობას პოლონეთთან და უკანასკნელის ბატონ საფრანგეთთან.

„მონობა უბედურებაა—სწერს ამხ. სამარინი, მაგრამ მონის მოსამსახურეობა ეს უბედურობაზე მეტია, ეს დიდი დამცირებაა. სწორედ ასეთ მდგომარეობაშია ეხლა ლიტვა. როგორც კი ოდნავი ყურადღება მიაქცია ანტანტამ კოვნოს, მას მერე სიმშვიდე დაკარგა ლიტვამ“.

სწორედ აქედან დაიწყო ლიტვის საშინაო და საგარეო პოლიტიკის გარდატეხა. ამის შემდეგ ლიტვის მთავრობა ცდილობს ყოველგვარ საშუალებებით ნდობა დაიმსახუროს პოლონეთის შლიახტის. იწყება სისტემატიური დევნა ეროვნულ უმცირესობათა, კომუნისტურ პარტიის—ყველგან შეუჩერებლივი დევნა, ჩხრეკა და დაპატიმრება.

ასეთივე ბედი ეწვიათ ლიტვის პირველ დემოკრატიულ რესპუბლიკის პრეზიდენტს ბ-ნ სმეტონუს და მის მინისტრ ვოლდემარს, რომლებიც ციხეში მხოლოდ იმისთვის, იჯდენ რომ აგიტაციას ეწეოდენ საფრანგეთის ორიენტაციის წინააღმდეგ და მოითხოვდენ პოლონეთის მიმართ დამოუკიდებელ პოლიტიკის წარმოებას, პარიზის გავლენის გარეშე. მაგრამ ყოველივეს გადააჭარბა საპირველმაისო დემონსტრაციების წინააღმდეგ მიღებულ ზომებმა. დემონსტრაციები ჯარის საშუალებით იქმნა გაფანტული, ასეულები მუშების და გლეხების დატუსაღებული იქმნენ. ციხის სარდაფებში ლიტვის ჯალათების მიერ დატუსაღებულებზე ინკვიზიტორული ექსპერიმენტები იქმნა ნახმარი. არ დაინდვეს არც მცირე წლოვანი.

„გულშემზარავი ხმები, დასძენს ამხ. სამარინი, გაგონილი იქნება საბჭოთა კავშირში და ტყუილად ფიქრობენ ლიტვის ჯალათები რომ მუშა და გლეხთა სახელმწიფომ ნება დართოს მათ მოძმე მუშების და გლეხების ასეთ უმზგავსო წვალება და დევნაზე“.

**ძველი ახალში, თუ სრულიად ახალი.**

„ზარია ვოსტოკის“ გუშინდელ №-რი იხილავს საფრანგეთის უკანასკნელ საპარლამენტო არჩევნების შედეგებს, კითხვას სვამს: „იქნება თუ არა მომავალ მთავრობის საგარეო პოლიტიკის გაგრძელება ძველი გზის, თუ ის იქნება სრულიად ახალი.

როგორც ვიცით, ამ საკითხის შესახებ არ არსებობს ერთი აზრი. მაგალითად გავასის სააგენტო და გაზეთი „მატენი“ ამტკიცებენ, რომ ახალი მთავრობა იხელმძღვანელებს საგარეო პოლიტიკაში წინანდელ მთავრობის გზით.

ასეთივე აზრისაა ინგლისის ოფიციოზი „ტაიმსი“, მაგრამ „ვ. ვ—ის“ მოწინავე ამ საკითხზე ასე უპასუხებს:

„თუ არა მოსალოდნელი საგარეო პოლიტიკაში ცვლილება, მაშინ უნდა ვიკითხოთ, რა საჭიროა მთავრობის შეცვლა, განა პუანკარეს უკეთ ვინმე სხვა შეასრულებს წინეთ არსებულ ხაზს. სწორედ სარეპარაციო საკითხმა და საბჭოთა კავშირისადმი პოზიციამ მოუპოვა გამარჯვება ბრიან-ერიოს“.

შესაძლებელია მომავალმა მთავრობამ ვერ გამოიჩინოს გამბედაობა დაპირებების სიჩქარით შესრულებაში, მაგრამ გვიან თუ ადრე ის კი აუცილებლად იცნობს საბჭოთა კავშირს.

**ტარდეს კარიერა.**

„პტი პარიზიენის" ცნობით არჩევნებში დამარცხებული ტარდე შესწყვეტს თავისი გაზეთის „ეკონაციონალის" გამოცემას და 16 მაისს გაემგზავრება ამერიკაში.

**თათბირი ელისეის სასახლეში.**

„ტანი" იტყობინება, რომ დღეს უნდა შესდგეს კაბინეთის სხდომა ელისეიის სასახლეში, კაბინეთის შედგენა ჰფიქრობენ რომ მიენდობა ერიოს, რომელიც ხელმძღვანელობდა არჩევნებში მემარცხენეთა ბლოკს.

**პრესის გამოძახილი.**

პარიზის პრესა იტყობინება იმ სიძნელეთა შესახებ, რომელიც წარმოიშვა პალატის დეპუტატთა დაჯგუფებით. პრესა აღნიშნავს ამ საკითხში სოციალისტების ხელმძღვანელობითი როლს.

**გერმანიის პრესა.**

გერმანიის პრესა აღნიშნავს რა რადიკალურ ცვლილებებს საფრანგეთის პოლიტიკურ ცხოვრებაში სკეპტიკურად არის განწყობილი. ბერლინში საერთო აზრი ისეთია, რომ საფრანგეთის საგარეო პოლიტიკაში ცვლილებები, არავითარ ცვლილებებს არ გამოიწვევს განსაკუთრებით კონტრიბუციისა და რურის საკითხებში.

## საბჭოთა-რუმინეთის კონფლიქტი.

**უკანასკნელი იმედი.**

საფრანგეთ და ინგლისის უარის თქმის გამო ბესარაბიის საკითხის დაცვაზე რუმინეთის სასარგებლოდ, ბურჟუაზიული პრესა მოითხოვს პოლონეთთან სამხედრო კავშირის „გაღრმავებას" საბჭოთა რუსეთის წინააღმდეგ, რაც აუცილებელია, პრესის აზრით, იმის შემდეგ, რაც მცირე ანტანტის სახელმწიფოებმა არ ისურვეს დაცვა რუმინეთის ინტერესების ბესარაბიის საკითხში.

**წყალ წაღებული ხავს ეკიდებოდა.**

უნგრეთის გაზეთების ცნობით, რუმინეთმა წინადადება მისცა უნგრეთს დაუბრუნოს მას წინად მისი კუთვნილი შვიდი ოლქი იმ ვალდებულებით, რომ დაიცვას ნეიტრალიტეტი, თუ რუმინეთ-საბჭოთა კონფლიქტი მოხდა.

## საბჭოთა კავშირი.

**წითელი ფლოტის ექვსი წლის თავი.**

15 მაისს შესრულდა 6 წელი მას შემდეგ რაც საფუძველი ჩაეყარა წითელ საზღვაო ფლოტს და გამოიცა პირველი ბრძანება ბალტიის საზღვაო რაზმის მოწყობის შესახებ.

**სრულიად უკრაინის პარტიული კონფერენცია.**

სრულიად უკრაინის პარტიულ კონფერენციაზე გამოირკვა, რომ ამ ჟამათ უკრაინის ორგანიზაციაში ითვლება 90,000 წევრი მუშების. პროცენტი გაიზარდა 18-დან 47 პროცენტამდე. ცეკამ გამოიტანა დადგენილება პარტიაში გლეხების მიღების შესახებ. სრულიად უკრანის ორგანიზაციაში ითვლება, 30 პროცენტი უკრაინელები, 45 პროც. ველიკორუსები, 15 პროც. ებრაელები და 10 პროც. სხვა ეროვნებათა წარმომადგენლები.

**ბელორუსიის კომპარტიის შემადგენლობა.**

სრულიად ბელორუსიის პარტიის კონფერენციაზე გამოირკვა, რომ ბელორუსიის კომუნისტურ პარტიაში ითვლება 8,000 წევრზე და კანდიდატებზე მეტი. 43 პროც. შეადგენს მუშები, 23 პროც. გლეხები დანარჩენები სოციალური ჯგუფები 34 პროც. ლენინის გაწვევამ მისცა პარტიას 2000 კაცი, რის გამოც მუშების პროცენტი გაიზარდა 44—54 პროც.

**ახალგაზრდა კომკავშირის რიგებში.**

ახკომკავშირის ცეკას 15 მაისის ცნობით 62 გუბერნიებიდან ახალგაზრდათა კომუნისტური კავშირის რიგებში შევიდნენ წევრებად 77500 მუშათა და გლეხთა ახალგაზრდობა ამავე რიცხვიდან რ. კ. პარტიას გადაეცა 17000 დაზგასთან მომუშავე ახკომკავშირელი.

## მოწოდება.

**პროფინტერნის და კომინტერნისა.**

**დაეხმარეთ გერმანიის გაფიცულ მუშებს.**

პროფინტერნის და კომინტერნის აღმასკომებმა მიმართეს მთელი ქვეყნის პროლეტარიატს მოწოდებით დაეხმარონ გერმანიის გაფიცულ მთა-მაღნის მუშებს და არ მისცენ საშვალება სხვა ქვეყნებიდან ნახშირის მოტანის გაფიცვის დასამარცხებლად, მოაგროვონ ფული გაფიცულ და მათი ოჯახებისათვის და მიიღონ ზომები, რომ მთლიან ფრონტით გაუმკლავდენ საფრანგეთის ხიშტებზე დაყრდნობილ გერმანიის მძიმე ინდუსტრიას. მოწოდება მიუთითებს, რომ ამ ბრძოლაში შეუძლებელია მუშათა შორის იყოს ვინმე პასიური, უბრალო მაყურებელი: ყოველი მუშა ვალდებულია აქტიურად დაეხმაროს გერმანიის გაფიცულ მუშებს, თუ მასში ოდნავ მაინც ჩქეფს პროლეტარული სისხლი და ესმის თავისი საკუთარი ინტერესი, ვინაიდან, თუ გერმანიის ბურჟუაზიამ გაიმარჯვა ამ ბრძოლაში ეს იმის მომასწავებელია, რომ ყველა ქვეყნის მთამადნელთა მუშების მდგომარეობა გაუარესდება და აგრეთვე სხვა დარგის მუშებისაც.

## სხვა და სხვა

**უმუშევრობა ინგლისში.**

ბრიტანეთის შრომის სამინისტრო აცხადებს რომ 5 მაისისათვის უმუშევართა რიცხვი ინგლისში შეადგენდა 1.040.400 კაცს.

**ბრძოლა მაროკაში.**

„დეილი მეილის" ტანჟერის კორესპონდენტი იუწყება, რომ უკანასკნელ ბრძოლის დროს რიფებმა მოსწყვიტეს ესპანელები მაიანლიდან და ხელთ იგდეს სამი დიდი იარაღი, 20 პულემიოტი, 600 თოფი, 400 ჯორები და 450 ტყვე.

**მთავრობის პარტიის დამარცხება იაპონიაში.**

უკანასკნელი ცნობები ადასტურებენ არჩევნებში მთავრობის პარტიის დამარცხებას. არსებულ კაბინეთის გადადგომა აუცილებელია.

**ბრძოლა სირიაში.**

სირიის აჯანყებულთა ბელადებმა მოწოდებით მიმართეს ოსმალეთს და მთელ სამუსულმანო ქვეყნებს, სადაც აღნიშნულია: ფრანგების წინააღმდეგ აღსდგა 600,000 სირიელი მუსულმანი, რომელთაც არ შეუძლია ფრანგთა ბატონობის ატანა, განსაკუთრებით ანტიოქიის რაიონში. სამი თვის განმავლობაში აწარმოებენ ისინი ბრძოლას ფრანგების წინააღმდეგ და იბრძოლებენ კიდევ, მაგრამ მთელი თავისი გულის ყური მიპყრობილი აქვთ ოსმალეთისაკენ.

## ბურჟუაზიულ ქვეყნებში

### ბულგარეთი.

**ამხ. ბლაგოევის გარდაცვალება.**

7 მაისს ბულგარეთში გარდაიცვალა ბულგარეთის კომპარტიის ერთ ბელადთაგანი ამხ. ბლაგოევი, რომელიც იყო დაპატიმრებული შინაური წესით. დასაფლავებას დაესწრენ დიდ ძალი მუშები. დასაფლავების დროს მოხდა საპროტესტო დემონსტრაცია მთავრობის ტეროსის წინააღმდეგ.

### ინგლისი.

**მაკდონალდის გამარჯვება თემთა პალატაში.**

თემთა პალატამ 317 ხმით 252 წინააღმდეგ უარყო ბალდვინის წინადადება მთავრობისადმი უნდობლობის გამოცხადების შესახებ.

**საჰაერო ფლოტის საკითხი თემთა პალატაში.**

თემთა პალატაში მაკდონალდი განცხადებით გამოვიდა საჰაერო ფლოტის შექმნის გეგმის შესახებ, რომელიც წააყენა ბორნეიმ. მაკდონალდმა განაცხადა რომ მთავრობამ უარყო ეს გეგმა, თუმცა, სთქვა მაკდონალდმა, მთავრობა იზიარებს ყოფილი მთავრობის აზრს ამ საკითხის შესახებ: აუცილებელია დაჩქარებით იქნეს გატარებული დიდი ბრიტანეთის საჰაერო ძალების გაძლიერებისათვის საღმშენებლო პროგრამა. ამის გამო განზრახულია მიენდოს საჰაერო ფლოტის სამინისტროს გარკვეული პროგრამის გამომუშავება. პროგრამაში უნდა შევიდეს საჰაერო გემის აშენების პროექტი, რომელსაც 5 მილიონი კუბ. ფუტის ჰაერის მოცულობა ექნება. საჰაერო ფლოტის სამინისტრო ზომებს მიიღებს ინდოეთში საჰაერო ხაზის მიმართულებით ბაზების მოწყობისათვის.

### იტალია.

**მუსოლინის დაბრუნება რომში.**

მუსოლინმა უეცრივ შესწყვიტა თავისი მოგზაურობა სიცილიაში და დაბრუნდა რომში. იტალიის პრესა ჰფიქრობს, რომ მუსოლინმა თავისი მოგზაურობის გეგმა შესცვალა საფრანგეთში მომხდარ არჩევნების შედეგების გამო.

**იაპონიის კაბინეთის გადადგომა.**

ტოკიოდან მიღებულ ცნობებით არჩევნებში დამარცხების გამო იაპონიის მთავრობა გადადგება. ახალ პრემიერად ასახელებენ ბარონ კატოს.

პარიზის პრესას მოყავს რა იაპონიაში მომხდარ არჩევნების შედეგები, ამბობს, რომ ახალ იაპონიის პრემიერს, ბარონ კატო იძულებული იქნება შეუთანხმდეს ოპოზიციის ზოგიერთ ჯგუფებს.

## ჩვენ და ისინი.

**ამხ. ლუნაჩარსკი საერთაშორისო მდგომარეობაზე**

მიწად მოქმედების ყრილობაზე მოსკოვში მოხსენებით გამოვიდა ამხ. ლუნაჩარსკი. გაუკეთა რა ჯამი ევროპის პარლამენტის არჩევნებს, მან აღნიშნა, რომ ევროპას ემჩნევა მარცხნივ გადახრა, რაც ჩვენთვის სასარგებლოა, რადგან ეს გამოაშკარავებს მენშევიზმის სულის კვეთებას და აიძულებს მთავრობებს შესცვალონ თავიანთი აზრი სსსრ.მიმართ ჩვენ მიერ აღებული გეზი კი დარჩება შრომის სრულ გამარჯვებამდე კაპიტალზე შეურყევლად.

**ბურჟუაზიის შიში.**

ამხ. ლუნაჩარსკი შეჩერდა რა სავაჭრო წარმომადგენლობაზე პოლიციის მიერ თავდასხმაზე ბერლინში სთქვა, რომ ეს ინციდენტი გამოწვეულია ბურჟუაზიის შიშის კომუნისტურ მოძრაობის ზრდის გამო.

**ვეისი შვებულებაში წავიდა.**

სსსრ სავაჭრო წარმომადგენლობაზე თავდასხმის ხელმძღვანელი პოლიტიკურ პოლიციის უფროსი ვეისი შვებულებაში წავიდა დაღლილობის გამო.

## საბჭოთა-ინგლისის კონფერენცია.

**მაკდონალდის განცხადება.**

თემთა პალატაში მაკდონალდმა განაცხადა, რომ საბჭოთა—ინგლისის მოლაპარაკებამ წინ წაიწია, და მთავრობა გამოაქვეყნებს ცნობებს მოლაპარაკების შესახებ კონკრეტიულ შედეგების მიღწევებში.

საბჭოთა—ინგლისის მოლაპარაკებამ ისე უნდა იწარმოოს, როგორც სწარმოებს ჩვეულებრივი მოლაპარაკებები.

## საფრანგეთის შეიარაღებული ძალები.

დღეს ევროპის კონტინენტზე გაცილებით მეტი ჯარი დგას იარაღის ქვეშ, ვიდრე ეს იყო იმპერიალისტურ ომის დაწყებამდის. და ეს არის მიუხედავათ იმისა, რომ მრავალ სახელმწიფოებს როგორიცაა გერმანია, ავსტრია, უნგრეთი და ბულგარეთი თითქმის სრულებით არ გააჩნიათ ჯარი, და საბჭოთა კავშირის არმია კი ძალზე შემცირებულია.

ყველაზე მრავალ რიცხოვანი ჯარი საფრანგეთს ყავს. 1923 წ. 1 იანვრისათვის საფრანგეთს არმიის რაოდენობა განისაზღვრებოდა 831.828 კაცით.

საფრანგეთი ახრჩობს გერმანიას. არ აძლევს მას გასაქანს. ვერსალის ხელშეკრულების ერთი მუხლი ამბობს: „რათა შესაძლებელი გახდეს ყველა ერების შეიარაღების შემცირების გატარება ცხოვრებაში, გერმანია ვალდებულია მინიმუმამდე დაიყვანოს თავისი ჯარის რიცხვი და სხ". ამას მოითხოვს საფრანგეთი გერმანიისაგან, თვით კი რას შვება?

საფრანგეთი არამც თუ ადიდებს ჯარის რიცხვს. ის ახალ საშუალებებს ეძებს ჯარის შესაიარაღებლად. სამხედრო ქიმიას დღეს საფრანგეთში უდიდესი ყურადღება ექცევა.

საფრანგეთში შედგა სამხედრო ინჟინერ-ქიმიკოსთა კორპუსი, რომლის მიზანია ახალ საშუალებების გამოძებნა მომავალ ქიმიურ ომისათვის. საფრანგეთის იმპერიალისტები ოცნებობენ ისეთ ყუმბარებზე, რომლებიც საჭიროების დროს შესძლებენ რამოდენიმე საათის განმავლობაში ბერლინის და ლონდონის განადგურებას.

ყველაზე დიდ როლს მომავალ ომში ითამაშებს უთუოდ საჰაერო ფლოტი. ინგლისის „მუშათა" მთავრობამ 20 მილ. გირ. სტერლინგით გაადიდა სამხედრო საჰაერო ფლოტის ბიუჯეტი.

საფრანგეთი უდიდეს ყურადღებას აქცევს საჰაერო ფლოტის გაძლიერებას. ეხლა საფრანგეთის საჰაერო ფლოტი ბევრად სჭარბობს ინგლისას. საფრანგეთს განზრახული აქვს 132 საომარ ესკადრის შექმნა. საჰაერო ფლოტში მშვიდობიან დროს იქნება 30.000 კაცი, ომის დროს 300.000. საჰაერო ფლოტისათვის გაღებული ხარჯები საფრანგეთში ბევრად სჭარბობს ყველა დანარჩენ ქვეყნების ხარჯებს საჰაერო ფლოტზე დახარჯულს.

საფრანგეთის საჰაერო ფლოტის უპირატესობა ინგლისის ფლოტის წინაშე კიდევ იმაში მდგომარეობს, რომ საფრანგეთის მფრინავი აპარატები არიან ყუმბარის მსროლელები ე. ი. თავდ სხმის იარაღით. ინგლისის აპარატები კი გამანადგურებელი ე. ი. თავდაცვის იარაღი. კიდევ, ინგლისის საჰაერო ფლოტის უმრავლესობა კოლონიებშია დაბანდებული, რადგანაც ინგლისს დღეს ყველაზე მეტად იქ ესაჭიროება ის. საფრანგეთის ფლოტი კი თვით საფრანგეთში იმყოფება. გერმანიის ერთ ერთ გაზეთის ცნობით, საფრანგეთის რვაას აპარატს ოცდა ოთხი საათის განმავლობაში შეუძლია ლონდონში ჩაყარონ 170 ტონი (ტონი—62 ფუთი) ყუმბარები. საფრანგეთის აპარატებს თავისუფლად შეუძლიათ ყოველ დღე ყუმბარები დაუშინონ ლონდონს, ამასთანვე მთა შეუძლიათ დღეში 75 ტონი ყუმბარების ჩამოყრა.

გერმანიის ბურჟუაზიულ გაზეთს მოყავს ეს ცნობები და დასძენს: „აი როგორ ცდილობს საფრანგეთი თავისი წვლილი შეიტანოს ყველა ერების შეიარაღების შემცირების საქმეში". მაგრამ ცხადია, რომ ბურჟუაზიული გაზეთი საერთოდ წინააღმდეგ არ არის შეიარაღების. ის დღეს ხედავს საფრანგეთის ძლიერებას, მაშინ როდესაც გერმანია მიწასთან არის გასწორებული და თავს შეურაცყოფილად გრძნობს, ვერ ითმენს საფრანგეთის მილიტარიზმის ზდას. გერმანიის ბურჟუაზია, რომ იყოს საფრანგეთის იმპერიალისტების მდგომარეობაში, ცხადია ისიც ასე მოიქცევოდა. მაშინ აღნიშნული გაზეთი ასეთი თავმდაბალ საყვედურით არ მიმართავდა თავის ბურჟუაზიას, არამედ ქებათა-ქებას შეასხამდა მას.

მაგრამ გაზეთი საფრანგეთის მიმართ მაინც მართალია საფრანგეთი დღეს იხნიქება მილიტარიზმის საშინელ უღელ ქვეშ. გონება დაკარგულ საფრანგეთის იმპერიალისტებს შეიარაღების და გერმანიის განადგურების მეტი არაფერი აგონდებათ. ისინი ემზადებენ კაცობრიობას უსაშინელეს სისხლის ღვრას და განადგურებას. წარსული იმპერიალისტური ომი მომავალ ომთან არაფერი გამოჩნდება.

მსოფლიო იმპერიალისტები, პირველ რიგში კი საფრანგეთის ბანდიტები კაცობრიობის განადგურებისათვის ემზადებიან. შესძლებენ კი ისინი ამას? ეს მსოფლიო პროლეტარიატზეა დამოკიდებული.

**ზეფირ.**




## კლუბი ახალწვეულების მოლოდინში.

როგორც ყოველთვის, კლუბი მზად უნდა იყოს შეხვდეს ახალწვეულს.

წარსულის შეცდომები ეხლავე თავიდან უნდა ავიცილოთ. საჭიროა იმის გამორკვევა თუ ვინ მოვა ჩვენს წითელ ყაზარმაში. მოვა თუ არა შედარებით უკვე შეგნებული და ზოგადათ გათვითცნობიერებული ახალგაზრდობა? თუ წინეთ ბევრს არ ესმოდა რა არის კლუბი, თეატრი, სამკითხველო და სკოლა, დღევანდელ ახალგაზრდას არამც თუ ესმის მათი მნიშვნელობა, არამედ მონაწილეობდა კიდეც მათ მუშაობაში როგორც სოფლად ისე ქალაქად.

ახალწვეულთა მიღების დროს დაშვებული არ უნდა იქნას ის შეცდომები, რომლებსაც ადგილი ქონდათ გასულ წელში.

რა შეცდომები გვქონდა წარსულ წლებში ახალწვეულთა მიღებასთან დაკავშირებით.

1. არ იყო შეკავშირებული მუდმივი კადრი ნაწილისა, პოლიტ-საგანმანათლებლო მუშაობისათვის ხელშესაწყობად და საწარმოებლათ.

2. არ იყო მოწესრიგებული, როგორც ეს საჭირო იყო გარეგნულად კლუბი.

3. საკლუბო დარგში ნაკლებად დახელოვნებულები აღმოჩნდნენ ყველანი ვისაც მოეთხოვებოდა პოლიტ-საგანმანათლებლო მუშაობის გაძლოლა ახალწვეულებში.

4. გაურკვეული გეგმის, მაგარი საფუძვლის უქონლობამ ნიადაგი მოუმზადა ყოველგვარ შემთხვევით ფორმებს საკლუბო მუშაობაში, რაც იწვევდა ერთ შემთხვევაში ჰაპანწყვეტას და მეორეში იმედების გაცრუებას და უმოქმედობას.

5. წინა წლებში კლუბს ხელმძღვანელობდაარა კლუბის გამ. (უფროსი) არამედ თვით მასსა, კლუბის უფროსი ტეხნიკურ მუშაკათ იყო და არა ინიციატორად, არა ხელმძღვანელად და დამრიგებლად, რაც თავის თავად ცხადია საქმეს კი არ აყვავებდა არამედ უფროსი სამართლიანად დაიმსახურებდა „კლუბისტის“ სახელს.

6. თავიდანვე კლუბის მუშაობის სათანადოთ შესწავლა მეტად მოიკოჭლებდა და დღესაც მის გამოჯანსაღებაზე გვიხდება ხშირად ლაპარაკი.

რაც კეთდებოდა კლუბში, წრეში „ლენინის კუთხში“ და სხვაგან აღინიშნებოდა გაბერილ ციფრებით ან და სრულიად უყურადღებოთ რჩებოდა.

უდგებით რა ხელახალ მუშაობას უნდა გამოვასწოროთ ზემოაღნიშნული შეცდომები. ზოგიერთ გულწრფელ მუშაკს, ვინც არ უნდა იყოს იგი, უფრშემადგენლობიდან თუ პოლიტ-მუშაკი ან კლუბის უფროსი მოესურვება ახალწვეულს მიაწოდოს მთელი თავისი გამოცდილება და ცოდნა რაც მან მრავალი წლების განმავლობაში შეითვისა, მაგრამ ასეთი გარემოება არაფრით დაშვებული არ უნდა იქნეს. ასეთი საქციელით ჩვენ დავაფრთხობთ, გავაბრუებთ სოფლის შვილს უეცარი ახალი მოვლენების სიმრავლით და დავიყვანთ ახალგაზრდა არმიელის თვითშემოქმედებას და ინიციატივას იქამდე, რომ ავზრდით მხოლოდ კარგ მსმენელს და მაყურებელს. განა ეს არის დედაბოძი ანუ უკეთ რომ ვსთქვათ, დედა ღერძი კერძოდ კლუბის მუშაობაში? არა რასაკვირველია. ჩვენ უნდა ისეთ გზაზე გამოვიყვანოთ დაბალი ინტელექტის ადამიანი რომ მან სახლში სოფლად და ქალაქად დაბრუნებისას თვით შესძლოს წინ სვლა და სხვაც აიყოლიოს.

ცალმხრივობა არ მოგვცემს არც მტკიცე მეომარს, არც შეგნებულ მოქალაქეს.

მუშაობა მასის შესწავლით, თანდა თანობითი გაღრმავება მუშაობის, მრავალ სახეობა, სიხალისე და ნამეტანი კონკრეტიზაცია ყველა მისაწოდებელ მასალის—სულიერ საზრდოსათვის, აი ჩვენი მიზანი. პირობები რომელშიაც ჩვენს კლუბებში უხდებათ მიუშობა არც საშინელია და არც ძალზე ხელშემწობი. ასეა ყველგან ყველაფერში.

ჩვენ უნდა გამოვიყენოთ ყოველი შესაძლებლობა, ყოველი ცოცხალი ძალა, ყოველი ახალი ამბავი და ყოველი აზრი თუ სურვილი არმიელის უფროსის და პოლიტმუშაკის.

თვითეულმა აქტიურმა კლუბის მუშაკმა ეხლავე გაითვალისწინოს ჩონჩხი კლუბის მრავალფეროვან ორგანიზმის, შექმნას მჭიდრო კავშირი მის ცალკე ნაწილებს შორის. შემდეგში ადვილად შესისხლხორციელდება ჩონჩხი საკლუბო გაღვივებულ ცოცხალ მუშაობასთან იმედია მეტი წინდახედულობით პოლიტმუშაკებთან, უფროსებთან და მასწავლებლებთან ძმური თანამშრომლობით და ერთნაირი პასუხის მგებლობით.

ასეთი რწმენით გამსჭვალულნი შევსძლებთ მტკიცე ნაბიჯით წინსვლას.

ალ. მულაშვილი.

## მე-3-მე ლეგიონის დრამატიული წრე.

ქუთაისის გამსახლის მოწვევით, პარასკევს 9 მაისს, ჩვენი ლეგიონის დრამატიულმა წრემ გამართა გამსახლის დარბაზში წარმოდგენა, მაყურებლები შესდგებოდენ ტუსაღების და ადგილობრივი მოსამსახურეებისაგან.

წარმოდგენილი იყო გრელის 1 მოქ. ვოდევილი „კუკუ“, რომელმაც თავისი კომიკური შინაარსით, და ამხ. გრელის და ლორთქიფანიძის ასულის მიერ კომედიის მოხდენილად ჩატარებით, მსმენელებზე კარგი შთაბეჭდილება დასტოვა. სავწყენია, რომ ამხ. გრელის არ ქონდა შესაფერი კოსტიუმი და გრიმი.

რაც შეეხება მეორე ვოდევილს „ძვირფასი ყელსაბამი“ ს შესახებ აქ არარას ვიტყვით, რადგანაც მისი შინაარსის შესახებ უკვე გვქონდა ლაპარაკი გაზ. „წითელი არმიელი“-ს 487 №-ში ხოლო ამ საღამოს, რამდენათაც ამხ. გრელი, ჯღამაძე და ლორთქიფანიძის ასული შესაფერისი გამოდგნენ როლებში, იმდენათ ამხ. ბერიძე შეუფერებელი იყო „ნიკოლაი ვლადიმეროვის“ როლში, თავისი ულაზათო მიხვრა-მოხვრით და როლს ცოდნა სუსტებით არ ეტყობოდა.

აღსანიშნავია ამხ. ჯღამაძე, რომელიც მართლადაც განსახიერებაა მოსამსახურის იმერელის როლში და როგორც ასეთი—აღსანიშნავი იყო ამ საღამოსაც მსახურის როლში.

წარმოდგენების დასასრულ გაიმართა დივერტისმენტი. წაკითხული იქმნა ამხ. ბერიძის მიერ ლექსი, მჟავანაძისა და გრელის მიერ სხვა და სხვა სცენები.

ამავე საღამოს ლეგიონის თეატრში გაშვებული იქმნა ტფილისიდან ახლად მიღებული კინო-სურათები, რომელსაც დაესწრენ გარდა ლეგიონის უფ პოლიტ-შემადგენლობისა აგრეთვე გარეშე პირებიც. პირველად გაშვებული იყო სურათი ლოთობის შესახებ, რის დასასრულ ლეგიონის ექიმმა ამხ. ვაჩნაძემ წაიკითხა მოკლე მოხსენება ღვინისა და საერთოდ მაგარი სასმელების ადამიანის ორგანიზმზე მავნებლობის შესახებ.

მოხსენება იყო შინაარსიანი და მსმენელების მიერ გამოიწვია მრავალი შეკითხვები, რაც ექიმმა ვაჩნაძემ დააკმაყოფილა.

მოხსენების დამთავრების შემდეგ გაშვებული იყო ორი კინო-სურათი: პირველი კომიკური ხასიათის და მეორე ბუნების მეტყველების ნაწილიდან, რამაც კარგი შთაბეჭდილება დასტოვა მაყურებლებზე.

სამხკორი: ს. ყუბანეიშვილი.

## დივიზიის ცენტრალურ კლუბში.

14 მაისს ქართულ მსროლელ დივიზიის ცენტრალურ კლუბში გაიხსნა საზეიმო სხდომა ქალაქ თბილისის უპარტიო ქალთა დელეგატებისა, რომელიც გახსნა მილოცვით, ამხ. კიდაიშმა, ამიერ-კავკასიის ქალთა გან. სახელით.

იყვნენ აგრეთვე დელეგატები ბაქოდან, ერევნიდან, აფხაზეთიდან, ყაზახიდან, აჭარიდან და სხვა.

გაკეთებულ იქნა მოხსენება ქალთა განყოფილების მესამე თათბირის მნიშვნელობაზე.

მუსლიმან ქალებმა გადიძრეს ჩადრები და თამამად განაცხადეს თავის სურვილები ქალთა ემანსიპაციაზე.

დაიწყო მილოცვები და სიტყვები: თბილისის მეთამბაქოე ქალთა სახელით ორბელოვამ, მეოჯახე ქალებიდან—ნესტეროვამ, აჭარიდან ბერიძისამ, ყაზახის მაზრიდან—რასულ-ზადემ, თბილისის მუსლ. ქალებიდან—ნოვრუზ-ზადემ, სპარტაკელ ბავშ-ქალთა სახელით პაწია ოლიამ, და მრავალი სხვა, როგორც სომეხ ქალთა, აფხაზთა და სხ.

შემდეგ რაბისმა გაუმართა კონცერტი.

მისალმების დეპეშა გაეგზავნა ამხ. კრუპსკაიას და ამ.-კავკასიის მესამე ყრილობას.

საღამოს დაესწრენ გარეშენიც, როგორც მუშა-მოსამსახურენი, ისე ჩვენი წითელ არმიელები.

საღამოზე უკრავდა პირველ ლეგიონის ორკესტრი.

სკ. № 10.

## პარტიული ცხოვრება.

9 მაის შესდგა ქ. მ. დ. სამხედრო პოლიტიკური სკოლის კომუჯრედის მორიგი კრება, რომელსაც დაესწრო ყველა კურსანტები. კრებას თავმჯდომარეობდა ამხ. ფრანგიშვილი და მდივნობდა ამხ. მაისეია: დღის წესრიგში იყო შემდეგი საკითხები 1. საერთაშორისო მდგომარეობის შესახებ 2. ქართულ დივიზიის 3-მე პარტკონფერენციის ანგარიში 3. მიმდინარე საკითხები. პირველ საკითხის შესახებ მოხსენებას აკეთებს ამხ. ჯვარშეიშვილი, რომელიც ეხება რა საერთაშორისო მდგომარეობას, კაპიტალისტური სახელმწიფოების პოლიტიკას საბჭოთა კავშირის მიმართ. ეხება ანტანტის და გერმანიის შინაურ ● საგარეო მდგომარეობის. ეს მოხსენება დამაკმაყოფილებელი იყო.

მოხსენების შემდეგ გამოტანილ იქმნა რეზოლიუცია. მეორე საკითხზე მოხსენებას აკეთებს ამხ. ბერიძე, რომელმაც ნათლად დაუხასიათა კრებას თუ რა შედეგებს მიაღწია ქართულ დივიზიის მე-3-მე პარტკონფერენციამ და აღინიშნა მუშაობის უარყოფითი და დადებითი მხარეები, რომელსაც ადგილი ქონდა ქართულ დივიზიაში პარტმუშაობის წლის განმავლობაში მოხსენების შემდეგ იყო შეკითხვები, რომელთაც სათანადო პასუხი გასცა მომხსენებელმა: მოხსენება იქნა ცნობილი დამაკმაყოფილებლად და მიღებული იქნა ცნობად. მიმდინარე საკითხში განიხილეს ამხ. კოხრეძის განცხადება კომკავშირიდან კომპარტიის კანდიდატათ გადასვლის შესახებ, რომელზედაც კრებამ იქონია რა მსჯელობა, დაადგინა: ვინაიდან ამხ. კოხრეიძემ გამოასწორა თავისი ნაკლი ამხ. წინაშე, კრებამ ერთხმად დაადგინა გადარიცხულ იქნეს ის კანდიდატათ: გარჩეული იქნა აგრეთვე ამხ. თავაძის განცხადება კომპარტიაში შესვლის შესახებ. ამხ. თავაძე კრებას მიერ იქმნა მიღებული კომუჯრედის წევრად. შემდეგ კრება იხურება ინტერნაციონალის სიმღერით.

სამხკორი: ლეჟავა.

## ბოტანიკურ ბაღში.

საღამოა...

მზის სხივები უკვე ჩაესვენა დასავლეთისაკენ. დაბერა ნელმა სიომ, მიძინებულ მცენარებმაც გამოიღვიძა. ახმაურდა ბაღი. სულ სხვა ელფერმა მოიცო არე. ხალხი, რომელნიც ხის ბუჩქებში იყვნენ გახვეული და მოსვენებას ეძლეოდნენ, წამოშალენ გასასეირნებლათ, კალთავავით მოედვა ბაღის ყველა კუთხეს. შორიდგან ისმის მუსიკის ხმა, სიმღერა.

აგერ დაბლა სერზე გაჩაღებულია ცეკვა თამაში, ქვევით წყაროსთან წამოწოლილან წითელი არმიელები, რომელნიც უყურებენ ბუნების სიმშვენიერეს. ამ დროს მოვიდა ერთი წ. არმიელი, რომელმაც გადმოგვცა, რომ მას ეხლახან მოუვიდა წერილი იმ ამხანაგიდგა, რომელიც გვერდში უდგა აქამდის და ეხლა დათხოვნილია უვადო შვებულებაში, იმას ჩასვლის უმალ მოუწყვია ბიბლიოთეკა, აღუძრავს შუამდგომლობა სადაც ჯერ არს, სთხოვს რათა იქნეს წიგნები გადმოგზავნილი. ეხლა უკვე აღგენს დრამ-წრეს. ხალხიც გულ მოდგინეთ ეხმარება ამ კულტურულ მუშაობაში. ჩვენი ამხანაგები, რომლებიც უნდა წამოვიდნენ წ. არმიაში ისინი უკვე მზათ არიან. ჩვენც, ამბობს ის ჩავალ თუ არა ყველას უნდა მოუწოდოთ კოოპერაციის გაძლიერებისაკენ რადგან კოოპერაცია ეს ერთ ერთი საშუალებათგანია სოციალიზმის მისაღწევათ. ამ დროს შორიდგან მოისმა ტაშის ხმა, წით. არმიელები წამოიშალენ და გაეშურენ იქით. საღამოს 8 საათი იქნებოდა რომ სიმღერით გამოსწიეს ყაზარ.მისაკენ.

დ. ლ—ლი

## ჩვენს კულტ-ფრონტზე.

ქ. მ. დ. პოლიტგანის სასკოლო სექციაში მუშაობა წარმატებით მიმდინარეობს ყოველ დარგში.

ხშირად იმართება გარნიზონის (ქართ. ნაწილების) ყველა მასწავლებელთა კრებები და იხილავენ მომავალ მუშაობის გეგმებს წითელ ჯარში.

ხშირად ეწყობა ექსკურსიები, როგორც ისტორიულ მნიშვნელოვან ადგილებზე, ისე საბჭოთა აღმშენებლობის ფრონტებზე და სხვა.

—

სექციას ამ მოკლე ხანში განზრახული აქვს მოაწყოს, გარნიზონის მასშტაბით (ქარ. ნაწ.) ექსკურსია ზემო ავჭალის ჰიდრო-ელექტრონის სადგურზე.

—

სასკოლო სექციის უფროსად დაინიშნა ამხ. მ. მერაბიშვილი.

—

8 მაისს, სექციაში შესდგა ტფ. გარნიზ. (ქართ. ნაწ.) მასწავლებელთა თათბირი, რომელზედაც იყო განხილული მაისის და ივნისის მუშაობის გეგმა.

მომხსენებელი იყო ამხ. მერაბიშვილი.

ირჩეოდა შემდეგი საკითხები:

1. სასკოლო შენობების მოწყობა და შეკეთება ნაწილებში.

2. მეთოდიური მუშაობის გაძლიერება.

3. მასწავლებელთა თანაშემწეების გამოყოფა და მათთან მეთოდიური მუშაობის მოწყობა.

4. ჩაბმა სასკოლო მეცადინეობაში როგორც უცოდინარ, ისე მცირე მცოდნე წითელ არმიელთა 100 პროცენტისა.

**საკლუბო სექციაში.**

ქ. მ. დ. პოლიტგანთან საკლუბო სექციაც მუშაობს შეძლების დაგვარად.

აღსანიშნავია აქ, სექციის უფროსის, ამხ. ალ. მამულაშვილის ენერგიული მუშაობა, რომელმაც შესძლო ამ განყოფილების დაყენება ღირსეულ დონეზე.

—

სექციამ მთავარ პოლიტ-განათლების მართველობას გადასცა ოცზე მეტი პიესები გამოსაცემად ჩვენი ჯარებისთვის. (რომელნიც იდგმებოდნენ ჩვენს წითელ კლუბებში და რომელთა დადგმაცაა განზრახულია მომავალში).

გამოცემა უკვე გადაწყვეტილია.

—

დივიზიის ცენტრ-კლუბი საზაფხულო მუშაობას აწარმოებს გარნიზონის პოლიტ-სეკრეტარიატთან შეთანხმებით, გარნიზონის ახალ საზაფხულო ბინაზე (ყოფილი „ვეჩერნიე ზორი“).

—

სექციას განზრახული აქვს ამ მოკლე ხანში გამოსცეს კრებული პოლიტ-სამხედრო სათამაშოებისა და სთხოვს ყველას ნაწილებიდან, მოაწოდონ მეთოდი ასეთ თამაშობათა ჩატარებისა.

—

სექცია ამ მოკლე ხანში ჩაატარებს, სამოქალაქო ძალების დახმარებით, ყველა სამხედრო, მუშათა და ახკომკავშირთა კლუბებში, ფართო მასშტაბით აგიტ-კომპანიის მობილიზაციაზე.

**საბიბლიოთეკო სექციაში.**

ქ. მ. დ. საბიბლიოთეკო სექცია ამ ახლო ხანში აწყობს გამოფენას დივიზიის ცენტრალურ კლუბში, სადაც მონაწილეობას მიიღებენ ქართული ლაშქრის ყველა ნაწილები.

ხანი.

## სპორტ-ინსტრუქტორების აღრიცხვა.

ფიზიკური კულტურის ყველა მას წავლებელთა და ინსტრუქტორთა ცოდნის სწორი აღნუსხვისა და გამოცდის მიზნით წინადადება ეძლევა ფიზიკური კულტურის და სპორტის ყოველ დარგში მომუშავე ინსტრუქტორებს (შკოლებში, სექციებში, სასპორტო წრეებში, სპარტაკში, სასპორტო კლუბებში და განწევრებში) გამოცხადდნენ 20 მაისამდე აღრიცხვაზე სასპორტო ცენტრებში ან და 20-დან 25 მაისამდე საქართველოს ფიზიკური კულტურის უმაღლესს საბჭოში (ყოფილი სამხედრო ტაძარი). ყოველი, აღრიცხვაზე გამოუცხადებელი ინსტრუქტორი მოხსნილი იქნება სამუშაოდან.

საქართველოს ფიზ. კულტ. უმაღლესს საბჭოს მდივანი ა. პიტერსკი.
საქ. მმართველი აბრამიშვილი.

—

შაბათს 17 მაისს საფუტბოლო განწევრი „სბორნაია“ მიემგზავრება ფოთში ადგილობრივ განწევრთან შესაჯიბრებლად.

—

**„მომავლის ადამიანი მადლობის გრძნობით მოიგონებს მუშაობას ფიზიკური კულტურის ორგანიზაციათა, რომელთაც მოამზადეს მოსვლა ამ მომავალი ადამიანისა“.**

**ლ. ტროცკი.**

(საკავშირო თათბირზე წარმოთქმული სიტყვიდან).

## „წითელი თეატრი“

6 მაისს, სახალხო სახლში, მოხდა გახსნა „წითელი თეატრისა“ გახსნას საზეიმო ხასიათი ჰქონდა, რომელსაც დაესწრნენ, როგორც მთავრობის წარმომადგენლები, ისე მრავალ დაწესებულებების დიდძალი მუშა მოსამსახურენი და ქართულ ლაშქრის წითელ არმიელები. წარმოდგენის დაწყებამდე სიტყვა სთქვა პროლეტარულ თეატრზე ამხ. ს. ქურიძემ. მუსიკა უკრავს ინტერნაციონალს. ათის ნახევარზე იხდება ფარდა. გახსნა მოხდა ემილ ვერჰარენის „რიჟრაჟი“-თ დადგმა დ. კოხძაბიისა. ბევრი ახალი რამაა შეტანილი ამ დადგმაში ახალი დეკორაციები, კოსტიუმები. მასიური სცენები, რომელშიც პარტერი ღებულობს მონაწილეობას, დიდებულია.

ამ პიესას ამხ. დათიკო კობახიძე დიდი ხანია ამზადებს და უქმად არ ჩაუჭრა შრომამ.

მოთამაშენი ყველა სტუდიელებია „პროლეტკულტისა“ და გამოსულნი.

უკანასკნელი სურათი დადებული იყო, როდესაც ჟაკ ერენიანის ცხედართან აღმართული ძეგლი იხსნება ვარდის კოკორისავით და გამოჩნდება მუშა-წითელი დროშით და იძახის:

— გაუმარჯოს საბჭოთა ხელისუფლებას!

ყველა ერთად მღერის ინტერნაციონალს.

პარტერში ბალკონიდან იყრება ლოზუნგები.

გაისმის ტაში და რეჟისორი გამოჰყავთ ხელზე აყვანილი.

მხოლოდ ერთი უნდა შევნიშნოთ რეჟისორს, შემდეგ დადგმისათვის: ბევრი მოთამაშენი არ იყვნენ თავის ადგილას (მაგ. კლარა ერენიანისა“ რომელიც მთელი საღამოს კარგი შთაბეჭდილებას ელფერს უკარგავდა.

პიესის ქართული თარგმანიც მოითხოვს შესწორებას.

გათავდა ღამის 1 საათზე.

დამსწრე.

## მოწოდება.

### ყველა ქართული დივიზიის ნაწილების სამხედროებს და მეთაურებს.

ძვირფასო ამხანაგებო!

როდესაც ყველა ორგანიზაციები და სახელმწიფო დაწესებულებები საბჭოთა რესპუბლიკებში განსაკუთრებით კი საქართველოში განიცდიდა უკიდურეს მდგომარეობას ფულის კურსის მერყეობით, როდესაც ბონების ფასი დღითი-დღე თითქმის საათობით ეცემოდა და კარგავდა თავის ღირებულობის ნამდვილ ფასს, მაშინ, როდესაც ბაზარზე საქონელი ზღაპრული საოცრებით იზრდებოდა, რომლის მიზეზით მრავალი ორგანიზაციები დაიხურა, ქართული დივიზიის მთლიანი მომხმარებელი საზოგადოება იდგა, რა ამ საშინელი კატასტროფის წინაშე, მიუხედავათ აურაცხელი ზარალის და მოსალოდნელი უბედურობისა, მაინც არ გდაუხვია თავის კოოპერატიულ პრინციპს და გზას, მან ღირსეულათ შეასრულა წევრების და მთელი ჯარის წინაშე თავისი წმინდა კოოპერაციის მოვალეობა და ამ მხრით მან მოიპოვა ზნეობრივი და მორალური უპირატესობა.

აი ამ საშინელი ვაკხანალიის დროს ჩვენმა კოოპერატივმა მოაწყო წევრთა თანხების შენახვა და მით გადაარჩინა მომხმარებელი ჯარის ნაწილების თანხა კურსის ცვალებადობით გამოწვეულ ზარალს.

ეხლა ამხანაგებო ჯერი თქვენზეა, რომ შეუწყოთ ხელი თქვენ კოოპერატივს, როგორც საკუთარ ოჯახს. თქვენ ამით გააძლიერებთ თქვენ საკუთარ ჯიბეს და არა სხვისას. საჭიროა რომ ნაწილებში დაგროვილი ფულები, რომელიც უსაქმოდ და უმოძრაოთ ძევს, ავამუშავოთ ჩვენ კოოპერატივში, რომლითაც გააძლიერებთ როგორც თქვენ საკუთარ თანხას, ისე კოოპერატივის საქმეს.

გამგეობის თავმჯდომარე: **ი. ებრალიძე.**

საორგ. საინსტ. გან. გამგე: **ვ. ბახტაძე.**

მდივანი:

## ახალი ამბები.

— **„ევკორუზში.“** ამჟამათ ქარ. დივ. მთლ. მომხმარებელი საზოგადოება ემზადება საგაზაფხულო კომპანიისათვის, რათა საადგილო წასულ სამხედრო ნაწილებს თან გაყყვეს კოოპერატიული დუქნებიც.

— **უცხოეთის ფული.** დამზღვევი კასის პრეზიდიუმის დადგენილებით უცხოეთის ფულები დამზღვევ კასაში არ იქნება მიღებული.

— **მეფუტკრეობის კურსები.** ქალ. ლანჩხუთში (გურია) დაარსდა მეფუტკრეობის კურსები.

— **შრომის მუზეუმში.** საქ. სახკომსაბჭოს წინაშე შრ. კომისარიატმა აღძრა შუამდგომლობა 1000 მ. გადადების შესახებ შრომის მუზეუმის ფონდის გასაძლიერებლათ.

— **ბრძოლა უმუშევრობასთან.** შრომის კომისარიატთან დაარსდა განსაკუთრებული კომისია, რომელიც გამოიმუშავებს უმუშევრობასთან ბრძოლის გეგმას, საზოგადოებრივი სამუშაოების მოწყობით და სხვა.

— **დასასვენებელი სახლები სოხუმში.** სოც. დაზღვევის მთ. სამმართველოს დადგენილებით სოხუმში უნდა გაიხსნას დასასვენებელი სახლები. ამისათვის ხარჯთა აღრიცხვის და გეგმის შემუშავება მიენდო სოხუმის დამზღვევ კასას.

— **ვაჭრების დაჯარიმება.** რადგანაც ზოგიერთ ვაჭრებს არა აქვთ ნიხრის თანახმათ დაწერილი ფასები ნივთებზე და ხშირათ ზედმეტ ფასებში ყიდიან, ამიტომ ასეთ ვაჭრებს აჯარიმებენ. 12 მაისს დააჯარიმეს და დააპატიმრეს 14 ასეთი გაუსწორებელი ვაჭარი.

— **სამკურნალო ტალახით ექიმობა.** ტფილისის ფიზიო-ტერაპევტიულ ინსტიტუტთან 1-ლი ივნისიდან გაიხსნება ამბულატორია, სადაც უექიმებენ სამკურნალო ტალახით.

— **დემობილიზაციიდან დაბრუნებულნი.** დემობილიზაციიდან დაბრუნებულ წითელ არმიელთა დამხმარე კომისიამ შუამდგომლობა აღძრა ქიათურის შრ. ბირჟის წინაშე, რათა ქიათურაში მოენახოთ სამუშაო დემობილიზაციიდან დაბრუნებულებს.

— **ნიხრი წყალზე.** 17 მაისს მოწვეულია სხდომა, რომელზედაც უნდა დაესწრონ ხილეულის წყლების ქარხანათა პატრონნი და წარადგინონ ცნობები. სხდომაზე შეიმუშავებენ მინერალურ წყლებზე ნიხრს.

### ხელოვნება

— **საღამო კონსერვატორიაში.** 20 მაისს, სახ. კონსერვატორიაში გაიმართება დიდი საღამო-კონცერტი ხელოვნების მუშაკთა სასარგებლოთ.

— **ნინოშვილის ნაწერები.** უკვე დაიბეჭდა და გამოვიდა ე. ნინოშვილის ნაწერების 1-ლი ტომი, მეორე გამოვა მოკლე ხანში.

## სასოფლო მეურნეობა.

### საკუჭნაოს გადადგმა.

საკუჭნაოს თავის დროზე გადადგმას დიდი მნიშვნელობა აქვს.

თუ საკუჭნაოს ადრე დასდგავთ, ბუდე გადიდდება, ცივდება, ბარტყებსაც შესცივათ და მით გასათბობათ საჭიროა მეტი გადია ფუტკრები.

არც დაგვიანება ვარგა, რადგან ფუტკარს თუ დროზე არ მიეცა საკუჭნაო, თაფლს ბუდეში ინახავს, ავსებს ბარტყის გამოსაჩეკ უჯრედებს და დედას აღარ აქვს კვერცხის დასადები ადგილი, რითაც ოჯახი თანდათან სუსტდება. აგრეთვე უნდა აღინიშნოს ის გარემოება, რომ ბარტყის გამონაჩეკ უჯრედებში შენახული თაფლი მუქი ფერის არის და არა ნაკლები ფასი აქვს.

საკუჭნაო მაშინ უნდა გადადგათ, როდესაც საგრძნობლად დათბება, ყველა ჩარჩოებს გარშემო ახვევია ფუტკარი, 8—9 ჩარჩო სავსეა ყოველივე ჰასაკის ბარტყით, დანარჩენი 2—3 ჩარჩო სავსეა თაფლით, ტილოს და ჩარჩოს ზედაპირის შუა არის სანთლის ნაშენები.

ყოველ შემთხვევაში საკუჭნაო 2—3 დღის წინად უნდა გადიდგეს.

ვინიცობაა საკუჭნაოს გადასადგმელ სკაში შეამჩნევთ სადედე უჯრედებს, ამოსჭრით და გამოიყენებთ სანთლად.

საკუჭნაოს გადადგმის წინ, ჩარჩოზე დაშენებულ ფიჭას კარგათ მოფხეკთ.

საკუჭნაოს ჩარჩოები მეტ მანძილზე უნდა დააშოროთ ერთი მეორეს, ვიდრე ბუდეში, რადგან დაშორებულ ჩარჩოებში ფუტკარი აშენებს ღრმა უჯრედებს, სადაც დედა ფუტკარს კვერცხის დება ეძნელება, თუ ვინიცობაა აიპარა საკუჭნაოში.

კარგი იქნება თუ საკუჭნაოში ჩასდგავთ მშრალ ფიჭიან ჩარჩოებს. უქონლობის გამო შეგიძლიათ ჩასდგათ ხელოვნურ ფიჭიანი ჩარჩოები.

საკუჭნაოს ზევიდან უნდა დააფაროთ ტილო და ბალიში. ბალიში იფარავს ბუდეს სიცხე-სიცივისაგან.

უხვ ღალიანობის, ესე იგი თაფლის შემოსვლის დროს, საკუჭნაოს ფუტკარი ავსებს.

თუ ვინიცობაა ღალა კიდევ დიდია, საჭიროა სკას დაედგას მეორე საკუჭნაო.

მეორე საკუჭნაოს დადგავთ პირველის ქვეშ.

ვინიცობაა არა გაქვთ იმედი რომ ოჯახი მეორე საკუჭნაოს აავსებს, პირველ საკუჭნაოდან ამოიღეთ შუა ადგილიდან 3—4 თაფლით სავსე ჩარჩო, გამოხადეთ ციბრუტაზე (თაფლის გამოსახდელი მანქანაა) და ისევ უკან ჩაუდგით.

ზ—ლი.

## მეცნიერება და ტექნიკა

### სათბობი მასალის სხვა და სხვა სახე.

თანამედროვე ტეხნიკის კოლოსალური განვითარება და თვით ყოველგვარი სასიცოცხლო პროცესები შეუძლებელია სითბოებრივი ენერგიის გარეშე. ადამიანს თავისი მუშაობის დროს დიდი ენერგია ეხარჯება, რომელიც მოითხოვს სათანადო სითბოს რაოდენობის გამოყოფას ორგანიზმში. მაგალითად ჩვენი ჰავის პირობებში მუშას თერთმეტი საათის სამუშაო დღისთვის უნდა ეძლეოდეს სანოვაგის იმდენი რაოდენობა, რომელსაც შეეძლება 3,200—3,300 კალორია სითბოს მოცემა (კალორია-სითბოს გასაზომი ერთეულია) დედაკაცებს კი ერთი მეხუთედით ნაკლები სითბო სჭირდებათ. უფრო ცივი ჰავის პირობებში კი გაცილებით მეტი სითბოა საჭირო. მეტად დიდი მნიშვნელობა აქვს სათბობი მასალის ხარისხს. ამ შემთხვევაში კარგად დამზადებული საჭმელი, რომლის მონელება მეტად ადვილი ხდება დიდი სარგებლობის მომტანია. ჯერ ერთი მეტის რაოდენობით გადადის ორგანიზმში და მეორე მხრივაც ანაყოფიერებს მუშის შრომას. აქვე მინდა შევეხო მრეწველობაში და სხვაგან ხმარებულ სათბობ მასალასაც, რადგან ესენიც დიდად არიან დაკავშირებული ჩვენი არსებობის საკითხებთან. ჩვენი დროის განვითარებულ ტეხნიკის პირობებში, ადამიანისა, ცხენის და სხვა საქონლის ენერგიით სარგებლობა მხოლოდ სოფლად სწარმოებს. ამ პირობებში ერთობ ბევრი ენერგია იხარჯება. ორთქლის მანქანა ნაკლებად ეკონომიურია და მასზე მოხმარებული სათბობი მასალაც დიდი რაოდენობისაა.

კაცობრიობისაგან მოხმარებულ ენერგიის უმეტესი ნაწილი მიიღება ორთქლის და სითბოს მამოძრავებლებით, აგრეთვე ქიმიური ენერგიისაგანაც. მკვდარ მამოძრავებელთა სანოვაგეთ ითვლება, ქვა ნახშირი, შეშა, წანახში, ნავთი და სხვა. საინტერესოა იმის ცოდნა თუ რამდენი სითბოებრივი ენერგიის გამოყოფა შეუძლიათ მათ. სხვა და სხვა საწვავ მასალის სითბოებრივი ენერგიის, ანუ „სითბოებრივი ეფექტის“ გამოანგარიშება როგორც იტყვიან ინჟენერები ხდება განსაკუთრებული ხელსაწყოს საშვალებით. აი სათბობ მასალის სხვა და სხვა სახისაგან გამოყოფილი სითბოებრივი ენერგიის რაოდენობა: ხმელი შეშა 2,900 კალორიას ერთ კილოგრ. მშრალი წანახში 3,600 კალ. რუხვი ქვა ნახშირი 6400 კალ, კარგი ქვა ნახშირი 9500 კალ. ანტრაციტი (პირველი ხარისხის ქვა ნახშირი) 9500 კალ. ბაქოს ნავთი 11000, წყალბადი 28800 კალ. მნათობი გაზი 10.000, სპირტი 7000 კალ. ამის საშვალოა ერთი კილოგრამომეტრი სხვა და სხვა მასალის სრულიად დაწვისაგან მიღებული სითბო.

შეიხ.

ნ. დ. ს. ც. ტირაჟი 800 სამხედრო სტამბა კეცხოველის ქ. 3. პასუხისმგებელი რედაქტორი: ჩინჩალაძე.